

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი სპანდერაშვილის გაწეული  
მუშაობის შესახებ ანგარიში (2022-2023წ)

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრი სოფ. საქობოს მაჟორიტარი დეპუტატი.

საანგარიშო პერიოდში, 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით დასწრებული ვარ საკრებულოს ყველა სხდომას. ვარ ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. ვესწრები კომისიის სხდომებს.

როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ საქობოდან, აქტიურად ვმონაწილეობ სოფ. საქობოში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

სოფელში მთავარ პრობლემად რჩება მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. რომელიც განსაკუთრებით მწვავედ დასახლების პერიოდში. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტში დასასრულს უახლოვდება უწყვეტი 24 საათიანი წყალმომარაგების სამუშაოები, მაგრამ სამუშაოების დასრულებამდე მუდმივად საჭიროა არსებული ქსელების მოვლა -შენახვა. ამ მიზნით, პრემიერის მიერ ინიცირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების პროგრამის ფარგლებში სოფ. საქობოსა და მამნარში დასაქმებულია 4 ადამიანი.

წყლით უზრუნველყოფის შემდეგ სოფელში აუცილებელია შიდა საუბნო გზების მოწესრიგება (მოსაფალტება). ამ პრობლემის გადასაჭრელად წელს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილია გოდაქნის უბნის სრული მოსაფალტების პროექტი რაც ჯამში შეადგენს დაახლოებით 3 კმ-ს. სოფ. მამნარში უკვე მიმდინარეობს ახალი სკოლის უბანში სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები რაშიც დაიხარჯება 109 500 ლარი. სამუშაოებს ასრულებს კომპანია „ეპიურა“

სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით, სოფლის დახმარების პროგრამით, ხორციელდება გარე განათების სამუშაოები როგორც სოფ. მამნარში, ისე საქობოში. სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

სოფ. საქობოს საჯარო სკოლას ჩაუტარდება სრული რევილიტაცია. გამარჯვებულია კომპანია „საბა კონსტრაქშენი“, სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

სრული რევილიტაცია ჩაუტარდება ასევე საქობოს ბაგა-ბაღს. კონტრაქტორი კომპანიაა ამხანაგობა „ჰიქსი“. რომელიც მუშაობს სამუშაოების პროექტირებაზე. უშუალოდ სამშენებლო სამუშაოები დაიწყება დეკემბერში. სამუშაოების შესრულებაზე დაიხარჯება 1 634 000 ლარი.

მე, როგორც მაჟორიტარს აქტიური შეხვედრები მაქვს სოფლის მოსახლეობასთან, ყოველდღიურ რეჟიმში ვეცნობი მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ ამ პრობლემების მოგვარებაში.